

კლინიკური შემთხვევა №5
28 წლის ქალი, ფილტვის ტუბერკულოზის დადასტურებული შემთხვევა



1 ივნისი, 2012

პირველი ვიზიტი ოჯახის ექიმთან

პირველადი ჯანდაცვის ქსელს მიმართა 28 წლის ქალმა.

ანამნეზის მიხედვით პაციენტს აღენიშნებოდა 1 კვირაზე მეტად გახანგრძლივებული პროდუქტიული ხველა, ცხვირიდან გამონადენი და ფებრილური ტემპერატურა. პაციენტი თამბაქოს მომხმარებელი და სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენელი იყო.

აუსკულტაციით ფილტვის კართან, მცირე მოცულობაზე მოისმინებოდა მსტვინავი ხიხინი.

ოჯახის ექიმმა ამ ეტაპზე ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული კვლევების გარეშე დასვა მწვავე ბრონქიტის დიაგნოზი და დანიშნა მკურნალობა მაკროლიდის ჯგუფის პრეპარატით.



კლინიკური შემთხვევა №5

28 წლის ქალი, ფილტვის ტუბერკულოზის დადასტურებული შემთხვევა-ანალიზი

ანამნეზის მიხედვით რამდენად საეჭვო იყო ტუბერკულოზი?

პაციენტი მიეკუთვნებოდა ტუბერკულოზის განვითარების რისკ-ჯგუფს (იყო მწვეელი, სოციალურად დაუცველი პირი) და აღენიშნებოდა ფილტვის ტუბერკულოზზე საეჭვო ყველაზე ხშირი ნიშანი - პროდუქტიული ხველა, რასაც თან ერთვოდა ტემპერატურული რეაქცია, მაგრამ ვინაიდან ამ ნიშნების გამოვლენის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 2 კვირას და არც აუსკულტაციური მონაცემები იყო სპეციფიკური, პაციენტი ტუბერკულოზზე საეჭვოდ არ შეფასდა.

8 ივნისი, 2012, განმეორებითი ვიზიტი ოჯახის ექიმთან

პაციენტმა ოჯახის ექიმს განმეორებით მიმართა, ვინაიდან მკურნალობის მიუხედავად კლინიკური მდგომარეობის გაუმჯობესება არ აღენიშნებოდა.- რჩებოდა პროდუქტიული ხველა და ტემპერატურული რეაქცია.

აუსკულტაციით დაფიქსირდა უარყოფითი დინამიკა, მარჯვენა ფილტვის



სწორად დაიგეგმა თუ არა ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული კვლევები?

პირველ ვიზიტზე პაციენტის ჩივილები ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული კვლევის გარეშე შეფასდა არასპეციფიკური რესპირატორული დაავადების სიმპტომატიკად. მეორე ვიზიტზე, ვინაიდან მკურნალობის მიუხედავად პაციენტის კლინიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, აუსკულტაციური მონაცემები კი

ზემო წილის პროექტაზე მოსმინებოდა წვრილბუმტუკოვანი სველი ხიხინი.

გულმკერდის რენტგენოგრაფიით მარჯვენა ფილტვის ზემო წილში დაფიქსირდა არაჰომოგენური საშუალო ინტენსივობის დაჩრდილვა რბილი კერებით.

ოჯახის ექიმმა პაციენტი შეაფასა როგორც **ტუბერკულოზზე საეჭვო** და **ფორმა 100-ით** საცხოვრებელი ადგილის მიხედვით **ფთიზიატრთან** გააგზავნა.

**22 ივნისი,
სატელეფონო კავშირი პაციენტთან**

პირველადი ჯანდაცვის ქსელის ექიმი ოჯახის სხვა წევრების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო **ტელეფონით დაუკავშირდა პაციენტს** და მიიღო ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ ის **ფილტვის ტუბერკულოზის** გადამდები ფორმის გამო **სტაციონარულად იტარებდა მკურნალობას**.



რამდენად დროული იყო უკუკავშირი ფთიზიატრიული ქსელიდან?

ფთიზიატრიული ქსელიდან ოჯახის ექიმს **ოფიციალური შეტყობინება პაციენტის ფილტვის ტუბერკულოზის გადამდები ფორმით ავადობის შესახებ არ მიუღია**, რის გამოც პირველადი ჯანდაცვის ქსელის მედპერსონალმა დაავადების ტრანსმისიის პრევენციასა და ოჯახის წევრების ინფორმირებაში დროული მონაწილეობა ვერ მიიღო.